ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

2014 წელი

ქ. ოზურგეთი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:
ა) რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი (დანართი №2);
ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (დანართი №3); **პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 150 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარების აქტები**.
გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (დანართი №4);
დ) სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი;
ე) შევსებული ხარჯთაღრიცხვა.

შენიშვნა 1: გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა, რა დროსაც მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა. ზემოხსენებული დასაბუთების ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა 2: საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება ქვეკონტრაქტორებზეც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.2 სატენდერო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა.
2.3 წინადადებების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ. სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ „ს“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3.2. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;
3.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
3.4. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, შესაბამის თანხაზე უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.
3.5. შემსრულებელს ავანსად მიღებული თანხა დაუკავდება ეტაპობრივად - შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.
3.6. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე „ფორმა №2“-ისა და შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.7. შუალედური ანაზღაურება განხორციელდება არაუმეტეს ნაზარდი ჯამით სახელშეკრულებო ღირებულების 80 %-სა.

3.8. საბოლოო ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ის დაკავებით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუტმეტი) სამუშო დღის განმავლობაში.

3.9. ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული არ იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, განხორციელდება საბოლოო გადახდა, წინაარმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

3.10. შესაძლებელი იქნება საგარანტიო პერიოდით დაკავებული შესრულებული სამუშოს ღირებულების 2 %-ის გადახდა საგარანტიო ვადის გასვლამდე, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში.

3.11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით და მოქმედების ვადა უნდა შეესაბამებოდეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

4. შესასრულებელი სამუშაო

4.1. ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

5. ტექნიკური დავალება:

5.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და აღწერილობა მოცემულია თანდართულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში.

5.2. სამუშაოს შესრულებისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმები.

5.3. სამუშაოების პარალელურად შემსრულებლის ძალებით და სახსრებით სამუშაო მოედანი პერიოდულად უნდა გათავისუფლდეს სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

6. მოთხოვნები პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ:

6.1. შემსრულებელს უნდა ყავდეს მინიმუმ 2 ინჟინერი ანალოგიური სამუშაოების ჩატარებაზე სულ მცირე ხუთწლიანი გამოცდილებით.

7. მიწოდების პირობები და ვადები:

7.1. სამუშაოები უნდა შესრულდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

7.2. სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

7.3. სამუშაოს (ეტაპის) მიღება განხორციელდება შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაზედაც შედგება უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელწერებით დამოწმებული შესაბამისი აქტი.

7.4. ობიექტის საბოლოო მიღების აქტს უნდა ერთვოდეს ერთვოდეს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ.

7.5. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნების ხარჯებს აანაზღაურებს შემსრულებელი.

7.6. სამუშაოს დასრულების საბოლოო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღით.

7.8. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების

0.1% ოდენობით.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

9.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხის დასადასტურებლად მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან მიმართებაში შესაბამისობაზე; ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს „შემსრულებელი“.

9.2. შესრულებული სამუშოს საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები, შეადგენს 6 (ექვსი) თვეს.

 პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №
(პროექტი)

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს)

ქ. ოზურგეთი -- ---------- 2014 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---------- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (SPA----------) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შენობის დასრულების სამუშაოები (CPV კოდი - 45400000)

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ------- (----------) ლარს.
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღე.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.
4.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ----------

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესრულებული სამუშაოს (ეტაპის) ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე შედგენილი მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დამოწმებული შესაბამისი აქტის საშუალებით.
6.2. სამუშაოს (ეტაპის) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი წერილობით მიმართავს შემსყიდველს, წერილს თან უნდა ერთვოდეს შესყიდვის ობიექტის მიღებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.
6.3. მიმწოდებელმა ინსპექტირების პერიოდში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი ინსპექტირების ჯგუფის წევრების შესყიდვის ობიექტის ადგილზე ტრანსპორტირება.
6.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (ექსპერტიზის ბიუროს დასკვნების ხარჯებს აანაზღაურებს შემსრულებელი).
6.5. ფარული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი

წარმომადგენლის თანდასწრებით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი, რომელსაც უნდა ერთოდეს სამუშაოს შესრულების ამსახველი ფოტომასალა, სადაც ასახული იქნება სამუშოს ყველა ეტაპი (დაწყებამდე, მიმდინარეობის პროცესი, დასრულების შემდეგ).

6.6. სამუშოთა შესრულება უნდა მოხდეს მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშოთა შესრულების გეგმა-გრაფიკის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხის დასადასტურებლად მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან მიმართებაში შესაბამისობაზე.

7.2. ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს „შემსრულებელი“.

7.3. შესრულებული სამუშოს საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები, შეადგენს 6 (ექვსი) თვეს.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

8.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

8.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, შესაბამის თანხაზე უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

8.4. შემსრულებელს ავანსად მიღებული თანხა დაუკავდება ეტაპობრივად - შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

8.5. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე „ფორმა №2“-ისა და შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.6. შუალედური ანაზღაურება განხორციელდება არაუმეტეს ნაზარდი ჯამით სახელშეკრულებო ღირებულების 80 %-სა.

8.6. საბოლოო ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ის დაკავებით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუტმეტი) სამუშო დღის განმავლობაში.

8.7. ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული არ იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, განხორციელდება საბოლოო გადახდა, წინაარმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

8.8. შესაძლებელი იქნება საგარანტიო პერიოდით დაკავებული შესრულებული სამუშოს ღირებულების 2 %-ის გადახდა საგარანტიო ვადის გასვლამდე, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
- აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების 8.8. პუნქტის შესაბამისად.

9.2.. „შესყიდველს“ უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
9.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სამუშაოების პარალელურად მისი ძალებითა და სახსრებით სამუშაო მოედანი პერიოდულად გათაავისუფლოს სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.
9.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის“ მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს” უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით;
10.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ასანაზღურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

12.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;
12.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც

შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
14.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
14.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

16.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
16.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ დანიშნული უფლებამოსილი პირები.
16.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
16.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, სამი პირი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
17.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
17.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
17.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა

ატარებდეს წერილობითი ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1.

საკონტაქტო პირი: სატენდერო კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - ამირან გირკელიძე. ტელ: 599 58 08 44.

E-Mail: oz.sheskidvebi@gmail.com

დანართი №1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემსმიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგანდამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუაღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს დაწარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდეროწინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდანგამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოსპრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა დაკონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ანმოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
* სატენდერო წინადადების ფასი;
* სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
* სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
* ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებსგამოცხადებული ტენდერის პირობებს.
* შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდებისდეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტსსატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი, თანამდებობა:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

დანართი№3

ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოს შესახებ

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შემსყიდველის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	სამუშაოს შესრულების პერიოდი
1					
2					

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

დანართი №4

ინფორმაცია ტენდერში მონაწილის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

№	გვარი, სახელი	თანამდებობა	დიპლომის მიღების თარიღი და ადგილი	დიპლომის №, ვის მიერ არის გაცემული	სპეციალობა დიპლომის მიხედვით	გამოცდილება (მიუთითეთ ობიექტი და/ან მუშაობის ადგილი, ვადები)
1. 2. 3. . . .						

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.